# სამშობლო

პარასკევი 6 ნოემბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მცხოვრებ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 216 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 216

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი Ი. Თ. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ.



იოსებ გიორგის ძე და მელანია პავლეს ასული სანაიები; მარიამ იოსების ასული რუხაძისა; ვიქტორ იოსების ძე სანაია; ელენე პავლეს ასული სვანიძე და ანნა პავლეს ასული ვარდოსანიძისა; მიხეილ თომას ძე სვანიძე; ვლადიმერ ბეჟანის ძე რუხაძე; თომა სვიმონის ძე სვანიძე; ჭიჭიკო აბრამის ძე ვარდოსანიძე გულითადის მწუხარებით აუწყებთ გარდაცვალებასა პირველი ორი დაუვიწყარი შვილისას, მესამე და მეოთხე საყვარელი ძმისას, მეხუთე და მეექვსე დაუვიწყარი დის შვილისას, მეშვიდე დეიდაშვილისას, მერვე ცოლის ძმისას და მეცხრე და მეათე ცოლის დის შვილისას

ნიკოლოზ იოსების ძის სანაიასას,

რომლის გამოსვენება დანიშნულია ამა ნოემბრის 7 რიცხვს, დღით შაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, მეორე ალექსანდროვის ქუჩაზე საკუთარ სახლში. პანაშვიდები ყოველდღე სალამოს, 5 საათზე.

მაქსიმე იოსეს ძე ზენაიშვილი და შვილები: ალათი, ელისაბედი, გიორგი, ისიდორე, პლატონ და ლევანი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს უდროოთ გარდაცვალებას პირველი საყვარელი შვილის შვილისას, ხოლო დანარჩენნი ძვირფასი დისწულისას

მარიამ (მარუსია) იორდანეს ასულის

ცერცვაძისას,

დაკრძალვა მოხდება დ. ზესტაფონში წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის სასაფლაოზე. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

3—1—5060

იორდანე ლევანის ძე, შვილი ამისი ივანე (ვანიჩკა) და ნინო იორდანეს ასული ცერცვაძეები. ბაბილინა გიორგის ასული ცერცვაძისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას პირველი საყვარელი შვილისას, მეორენი ძვირფასის დისა, ხოლო უკანასკნელი პატივცემული მულისას

მარიამ (მარუსია) იორდანეს ასულის

ცერცვაძისას,

დაკრძალვა მოხდება დაბა ზესტაფონში წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე. დაკრძალვის დღე—ცალკე—გამოცხადდება

3—1—5060

აზ. ილია სვიმონის ძე, სვიმონ ზაალის ძე და ნინო არქიპოს ასული მხეიძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ შაბათს, 7 ამა გიორგობისთვეს, დილის 11 საათზე, სოფელ თერჯოლის ჭაბუკტის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის უსაყვარლესი მეუღლის, და მეორეთა დაუვიწყარი რძლის

ბაბილინა (ბაბულია) ონისიმეს ასულის მხეიძის

სულის მოსახსენებლათ

1—1—5058

## კბილის ექიმი

**მ. მგელაძე—გალიცკისა**

ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.— 12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი. მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

## ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 5 ნოემბრიდან ახალი საუცხოვო პროგრამა.

**გომონის ქრონიკა.** მიმდინარე ამბები.

## ჩ ა ი კ ა.

4 ნაწილათ. მოზჟუხინის, ორლოვისა და რინდინის მონაწილეობით.

## დაწუნებული საქმრო. კომიკური.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 9 ნოემბ. მზადდება საჩვენებლათ **ა ნ ი ა.** დრ. 4 ნაწ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლოგერიძე.**

**ექიმი** **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თგ.

**მასაჟით სამკურნალო კაბინეთი**

**მარ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

**გაბრიელ იოსების ძე**

**ექიმი გოკიელის**

**ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.**

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ.

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**კბილის ექიმი** **რ. პ. სვანაძე-ასული**

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.

თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.

**მისამართი:** ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

**ექიმი** **Ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)


## უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

**პეტროგრადი.** 4 ნოემბერი. ოფიციალური. დასავლეთის ფრონტი. რიგის რაიონის ფრონტზე მხოლოდ საარტილერიო სროლა იყო. დვინაზე ფრიდრიხშტადტისა და იაკობშტადტის რაიონში სიწყნარეა. დვინსკის ქვემოთ მტრის ნაწილები შეეცადნენ ნავებით დვინაზე გადასვლას, მაგრამ უკანვე გავსდევნეთ. დვინსკის დასავლეთით სვენტენის ტბის რაიონში გერმანელები იძულებული გახდენ უკან დაეხიათ და დაეტოვებიათ რამდენიმე ნაწილი თავისი თხრილებისა. დანარჩენ თხრილებში ჩვენ ვნახეთ დაყრილი თოფები, პატრონები და სხვა ბევრი სამხედრო დავლა. 3 ნოემბრის ღამეს დვინსკის რაიონში ჩფრინავმა ცეპელინმა ყუმბარები ჩაყარა. ზოგიერთი ყუმბარა გერმანელების თხრილებში დაეცა და დიდი ზარალიც მიაყენა.

დვინსკის რაიონიდან მდ. პრიპიატამდე სიწყნარეა. მდ. სტირის მარცხენა ნაპირზე ჩარტორიისკის რაიონში მტერი სასტიკ იერიშებს აწარმოებს. ჩვენმა არტილერიამ არა ერთჯერ გაფანტა მტერი მდინარესთან მოახლოვების დროს. დანარჩენ ფრონტზე და გალიციის ბრძოლის ველზე თოფისა და არტილერიის სროლაა.

— —

**ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘᲐ.**

## ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

### ზღვაზე ბრძოლა.

პარიზიდან „რუს. ვედ.“ კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანელთა წყალქვეშა ნავების მოქმედება ხმელთა შუა ზღვაში თანდათან ძლიერდებაო. დატვირთულ გემებს გარდა წყალქვეშებმა ორი სამგზავრო გემი დაღუპესო. „ანკონა-“ს, იტალიის ატლანტიის ოკეანეს გემის დაღუპვის წინ ყუმბარები დაუშინეს. წყალქვეშა ნავმა მას 100 ყუმბარა ესროლა, ყუმბარებით ბევრი მოკვდა და ბევრიც დაიჭრა. „ანკონაზე“ იყო 500 მგზავრი, მათ რიცხვში 27 ამერიკელი. დაიღუპა 306 კაცი, მათ შორის 30 ამერიკელი.

ამერიკის საზოგადოება ძლიერ აღშფოთებულია და სასტიკ პროტესტს აცხადებს ამ აქტის წინააღმდეგ. დაღუპულთა უმრავლესობა ქალები და ბავშებია. ყოველივე ეჭვს გარეშე ადასტურებენ, რომ წყალქვეშა გერმანელების იყო და არცა ავსტრიელებისაო. ფიქრობენ, რომ ამას შეუძლია შედეგათ მოყვეს იტალიისა და და გერმანეთის შორის ომის გამოცხადებაო.

### საბერძნეთი.

ათინაში გამოქვეყნდა დეკრეტი პარლამენტის დათხოვნის შესახებ. არჩევნები დანიშნულია 6 დეკემბრისათვის. ახალი პარლამენტი 11 იანვრისთვის შეკრიბება.

### ბულგარეთი.

ყველა ბულგარელი, რომელიც კი სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებული იყო, განსაკუთრებული ახალი დეკრეტის ძალით სამხედრო სამსახურში უნდა გამოცხადდეს.

— —

სოფიაში ცეპელინით მოფრენილმა ჰერცოგმა მეკლენბურსკიმ, მეფისგან მის პატივსაცემლათ გამართულ სადილზე, განაცხადა, რომ ვილჰელმს განზრახვა აქვს ახლო მომავალში სოფიაში მოვიდესო. მას თან ახლდებიან გენერალი მაკენზენი და ავსტრიის ერთ-ერთი ჰერცოგთაგანი.

— —

ბუქარესტიდან ცნობაა,—ბრატიანუმ დეპუტატებთან და სენატორებთან თათბირი განაახლა ორი დღის შეჩერების შემდეგ. თათბირზე მიწვეული იყვნენ შეთანხმების წარმომადგენლები. თათბირმა ბრატიანუს პოლიტიკა მოიწონა.

— —

თენედოსიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის წყალქვეშა ნავებმა მარმარილოს ზღვაში მოქმედება გააძლიერეს, სადაც დაღუპეს ოსმალეთის ორი სატრანსპორტო გემი. მგზავრები გადაარჩინეს.

— —

ჰააგიდან ცნობაა,—გერმანელების ნაღმოსნებმა 30 ოქტომბერს, ჰოლანდიის ტრალერი „წმ. ნიკოლოზი“ დაღუპეს. ეკიპაჟი გადარჩა. მეორე ტრალერი ნაღმს წააწყდა და აფეთქდა. დაიღუპა ერთი მეთევზე.

——

იმ ხმების გამო, რომ გერმანელები და ოსმალები ცდილობენ თეირანში აჯანყება მოახდინონ და თავს დაესხან რუსეთისა და მის მოკავშირე სახელმწიფოების მისიებს, კაზვინის რაზმს ებრძანა თეირანისკენ წაიწიოს. 28 ოქტომბერს რაზმი იანგი-იმამიდან უკვე გავიდა.

——

„რუს. ვედ.“ იტყობინება,—ავსტრიის მოხსენება ამტკიცებს, რომ ბულგარლებმა შეავიწროვეს რა სერბიელები ნიშიდან და ალექსინაციდან, იძულებულ ყვეს იგინი გადასულიყვნენ მდ. მორავის მარცხენა ნაპირზე კრალიევოს სამხრეთ-დასავლეთით და დაიკავეს ალექსანდროვეცი.

——

ამავე გაზეთის ცნობით, საბერძნეთის მთავრობის გაზეთები მოითხოვენ, რომ, თუ სერბიის ჯარი უკან დახევის დროს, საბერძნეთის ტერიტორიაზე გადავა, იარაღი აეყაროს.

——

კოპენჰაგენიდან „რუს. ვედ.“ დეპეშით ატყობინებენ: გერმანელების გავლენა კონსტანტინოპოლში ულრესათ გაძლიერდა. გერმანელი აგენტები აწყობენ აქ რადიო ტელეგრაფის სადგურებს, რომ მოკავშირეთა დეპეშები ხელში ჩაიგდონ და ხელმძღვანელობა გაუწიონ გერმანელების სუმბარინებს. საბერძნეთის მთავრობამ გერმანელ აფიცრებს, რომელნიც სალონიკში მოვიდნენ, ავტომობილები დაუთმო ათინაში წასასვლელათ.

## რუმინეთი.

„ბირჟ. ვედ.“ ინსაროვი სწერს: ბუქარესტიდან არა სასიამოვნო და არა მანუგეშებილი ცნობები მოდის.

ოპოზიციის ლიდერები ტაკე-იონესკუ და ფილიპესკუ ამ უკანასკნელ დროს როგორღაც გაჩუმდენ. შეწყდა აგრეთვე მანიფესტაციები რუმინეთის ომში ჩარევის გამო.

ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ბრატიანომ გავლენა მოახდინა ოპოზიციის წევრებზე—დროებით მაინც შეეჩერებიათ თავისი მოქმედება და არ მოეთხოვათ რუმინეთის გამოსვლა ოთხთა შეთანხმების სასარგებლოთ, ვიდრე საბოლოოთ არ გამოირკვევოდა, თუ ვისკენ იქნებოდა გადახრილი ბრძოლის ველზე გამარჯვების სასწორი. მართალია, პრემიერი ოპოზიციის ლიდერებს არ ნახულობს, მაგრამ სამაგიეროთ თავის ბინაზე მუდამ თათბირი აქვს გამართული ოპოზიციის დანარჩენ წევრებთან და ცდილობს დაარწმუნოს იგინი, რომ რუმინეთმა, როგორც პატარა სახელმწიფომ უნდა დაიცვას მტკიცე ნეიტრალიტეტი დ ჩაერიოს ომში მხოლოდ მაშინ, როცა ამა თუ იმ მებრძოლი ჯგუფის შანსები საბოლოოთ გამოირკვევა. რუმინეთის უდროოთ გამოსვლა კი, ბრატიანოს აზრით, სახელმწიფოს დაღუპვას უქადის, როგორი დაღუპვაც სერბიისთვის აუცილებელია.

როგორც სჩანს, პრემიერის ქადაგებამ ნაყოფი გამოიღო და ოპოზიცია მიიმხრო უფრო თავდაჭერილი პოლიტიკა ეწარმოებია უკანასკნელს, ამავე დროს ბუქარესტში არ სძინავს ავსტრო-გერმანეთის დიპლომატიას: იგი ახლა უფრო, ვიდრე სხვა დროს, აძლიერებს თავის მოქმედებას და ურჩევს რუმინელებს აქტიურ გამოსვლას ცენტრალურ სახელმწიფოთა სასარგებლოთ. ამ ცდაში დიპლომატიას დიდ დახმარებას უწევენ რუმინელი გერმანოფილები, როგორც მაგალითად მარგილომანი, მაიორესკუ, კარპი და სხვანი, რომელნიც დაახლოებით ასე მსჯელობენ:

„ეჭვს გარეშეა, რომ სერბია თავის დაღუპვის უკანასკნელ დღეებს განიცდის. მისი განადგურება ახლო მომავლის საქმეა. დაიმორჩილებენ თუ არა სერბიელებს, ავსტრო-გერმანელები და ბულგარლები მიუბრუნდებიან მოკავშირეებს და უკანასკნელნი, 200000 ჯარისკაციც რომ ჰყავდესთ, მაინც ვერ შესძლებენ გაუმკლავდენ ავსტრო-გერმანელებისა და ბულგარლების 600000 ჯარის კაცს. მოკავშირეთა ჯარმა მხოლოდ სასწრაფოთ უნდა დასტოვოს ბალკანეთის ბრძოლის ველი, რომ ამოწყვეტას გადაურჩეს. და როცა ამგვარათ გაათავებენ საქმეს მოკავშირეებთან და სერბიელებთან, ავსტრო-გერმანელები და ბულგარელები რკინის რგოლივით შემოერტყმიან რუმინეთს და მოითხოვენ მათთან შეერთებას. რასაკვირველია,—ამბობს მარგილომანი, მაიორესკუ და კამპანია,—რუმინელები იძულებული გახდებიან ნებაყოფლობით დაემორჩილენ მათ, თუ უნდათ, რომ განადგურება აიშორონ თავიდან.

ამიტომ უმჯობესია, განაგრძობენ ბუქარესტელი გერმანოფილები,—ახლავე შეუერთდეს რუმინეთი ცენტრალურ სახელმწიფოებს და გამოითხოვონ მათგან ხელსაყრელი პირობები. სულ ერთია,—ამბობენ იგინი,—რუმინეთი ასე თუ ისე უნდა მიემხროს ავსტრო-გერმანელებს და თუ ეს არ მოხდა ნებაყოფლობით, მაშინ ტერიტორიის გაფართოვება ტყვილი ოცნებად იქნება. ბუქარესტის გერმანოფილები ამასთანავე დასძენენ, რომ რუმინეთს რუსეთის სრულებით არ უნდა ეშინოდეს, რადგანაც უკანასკნელი ერთ ჯარის კაცსაც ვერ გაგზავნის ბალკანეთის ბრძოლის ველზე და რომ ეს მას შეეძლებოდა, ამას ამდენხანსაც შეასრულებდა.“

უნდა სიმართლე ვსთქვათ, რომ ბრატიანო ყოველ ზომას ხმარობს გერმანოფილურ აგიტაციის წინააღმდეგ და გულწრფელადაც იცავს თავის პოზიციას ნეიტრალიტეტის შესახებ. იგი ოთხთა შეთანხმების დიპლომატიასთან მოლაპარაკებას არ გაურბის, მაგრამ ამავე დროს ნახულობს ავსტრო—გერმანელების ელჩებსაც.

თუ რამდენ ხანს აწარმოებს ასეთ პოლიტიკას ბრატიანო—აი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც დამოკიდებულია რუსეთისა და მის მოკავშირე სახელმწიფოების ენერგიულ მოქმედებაზე ბალკანეთში.

## დაქცეული სერბია.

ძლევამოსილი ავსტრო-გერმანელთა ლაშქარი ბობოქრობს საბრალო სერბეთის მიწა წყალზე.

ხვალ კიდევ, ალბად მის შუა გულში (სერბეთის) გამოჩნდებიან ბულგარ-ოსმალთა შეერთებული ჯარები—ეს ოთხი ძლიერი მოკავშირე და გასთელ-გადმოსთელავენ ისედაც წელში გატეხილ სერბიას. 1453 წლიდან ბალკანეთის პატრონის ძლიერ ოტომანთა იმპერიის დღეს აღმადგენელ ვარსკვლავათ მოვლენილი ენვერ-ფაშა 1912 წლის ოსმალთა სისხლს დღეს აიაზღაურებს და ნაშწარს—წაალებინებს სერბეთს 1912 წლის გამარჯვების გამოწვეულ უსაზღვრო სიხარულს.

ავსტრო-ჰუნგრეთი, რაც შეიძლება ძლიერად დასცემს მას შხამიან მახვილს, რომლიდანაც ამ ძლიერ მონარქიას არა ერთხელ და ორჯერ დარღვევია სიმშვიდე, ავსტრო-ჰუნგრეთი სარაევოში დაქცეულ ფრანც ფერდინანდის სისხლს ახლა სავსებით აიღებს. მეორე ბალკანეთის ომის დროს სერბეთის მიერ საოცრად დამარცხებულ-წამბდარი და შერცხვენილი ბულგარეთი დღეს ჯავრს იყრის და სერბეთს სამაგიეროს ვალაუხდის.

იმპერატორი ვილჰელმი, რომელსაც სერბეთთან ისტორიულად სამტრო არ აქვს რა, ითამაშებს თავის მოკავშირეთა ხელმძღვანელ მთავარსარდლობის როლს და რასაც პირველნი ვერ შესძლებენ, ეს უკანასკნელი შეასრულებს. შეიძლება არა ნაკლები ბედი ერგუნოს 230,000 მთაშავეთსაც, რომელსაც საერთაშორისო ომის დაწყებისთანავე ავსტრო-გერმანელთან თავხედურად ომი გამოუცხადა, მთაშავეთის დღეს დაძლევა ისე საძნელო აღარ არის, როგორც ეს სულთან დოსმანიდას დროს იყო, მას მისი მიუვალი კლდეები ვეღარ იხსნიან გერმანეთის ტეხნიკისაგან.

განვიხილოთ მოკლედ საბრალო ერის (სერბეთის) მწარე ხვედრი. ჩვენ ვხედავთ და დარწმუნებულიც უნდა ვიყოთ, რომ სერბეთი დაიქცევა და განადგურდება. მისი დღევანდელი ცხოვრება და მოსახლეობა დიდხანს იქნება ადამიანის თვალისთვის საბრალო ნანგრევების წარმომადგენლად და დიდ უბედურება-უგამჭრიახობის მონამე—მეტყველად.

სერბეთის პირველი შეცდომა ის არის, რომ მას ბრძოლის ველზე გამოსვლისას ოდნავადაც არ გაახსენდა 1912 წლის ამბები, ყურადღება არ მიაქცია ბულგარეთ-ოსმალეთს; იგი მოკავშირეთა იმედით აღფრთოვანებული და გაგულიანებული არამც თუ ბოსნია ჰერცოგოვინის დაპყრობას სძლებდა, არამედ ლამობდა თავის დროშით თვით ვენაში მისვლას. მას ყოველ წამს თვალ წინ ეხატებოდა დიდი სერბეთი, მაგრამ სულ სხვა არის პოლიტიკა. საქმე სერბთა სამწუხაროდ, სულ სხვა გვარად დატრიალდა მოკავშირეთ ვერ მოახერხეს დაპირებანის შესრულება. ამრიგად დღეს სერბეთის ვარსკვლავი სამუდამოდ სწყდება ცის კამარას. იგი ვერ ასცდება სრულიად განადგურებას; ამის მოწმეა თვით ის მოვლენა, რომ სერბეთის მეფე პეტრე ჭრის უკიდურეს განსაცდელის წამებში იტალიის მეფემ მიიპატიჟა. რა ქნას სერბეთმა? რასაკვირველია, მასზე შეწერილ ბედს ვერსად წაუვა, როგორც ყველა დედამიწის ზურგზე მცხოვრები მომაკვდავი არსება, იგიც ბედის წერას უნდა დაეთანხმოს. საკითხავია ამ ულმობელ ქარიშხალის შემდეგ მართლა სამუდამოდ ჩაესვენება სერბეთის მზე? ამის თქმა არას გზით არ შეიძლება. ეს არ არის კანონი რომელიმე ერის ისტორიაში ცნობილი, განა საქართველოს არ განუცდია სერბეთისანა ბედი? მაგრამ მეოცე საუკუნემდე როგორც იყო ცოცხალი სული მოგვყვა. შეიძლება ითქვას, რომ მომავალში აღდგენილი სერბეთი უფრო სასურველი და ცხოვრების მცოდნე და გამჭრიახი გამოვა. დღევანდელი დღე კი სერბეთის ისტორიაში ჩაიწერება ავანტიურისა და უპოლიტიკობის დღეთ.

ი. იმერელი.

## ახალი ამბავი

### ქუთაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ რუსეთის საურთიერთო დაზღვევა კავშირში უკვე მიიღეს ქ. ფოთი, თანახმათ ქუთაისის საურთიერთო დაზღვევი საზოგადოების შუამდგომლობისა და ამ დღეებში დაიწყებენ მოქმედებას.

✦ ინგლისური გაზეთის „დეილ ქრონიკლის“ კორესპონდენტმა ბ. ჰეროლდ-ვილიამ 3 ნოემბერს დაათვალიერა გელათის მონასტერი, რომელსაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. 4 ნოემბერს, კი გაემგზავრა თბილისს, სადაც წაიკითხავს ლექციას „თანამედროვე ომი და ქალი“

✦ 28 ოქტომბერს, სოფ. აბაშაში (სენაკის მაზრა) ვიღაც ბოროტ გამზრახველებმა დასწვეს პავლე ტორონჯაძის სახლი. ეჭვით დააპატიმრეს ლუარსაბ ჰოჰუა.

✦ ქუთაისის გუბერნატორს დასამტკიცებლათ წარუდგინეს ლანჩხუთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის დამფუძნებელი 50 კაცის სია.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო სენაკის ქართ. შორ. წ. კ. გამ. საზოგ. განყოფილებას გახსნას უფასო წიგნ-საცავ სამკითხველო ს. ქვაუთში.

✦ ქუთაისის მოვაჭრემ დავით ქებაძემ თხოვნით მიმართა ქუთაისის ქალაქის გამგეობას, რომ მომავალ საბჭოს კრებაზე ამოირჩიონ ორი კაცი, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას კომისიაში, სადაც პრესის წარმომადგენლებთან ერთად გამოარკვევენ: მართლა ემალავდი შაქარს თუ არაო?

✦ 16 ოქტომ. ბალახვანის ქუჩაზე ალექსანდრე ბერიას ჯიბიდან ამოართვეს 64 მან. დააპატიმრეს იაკობ მახათაძე, რომელიც დანაშაულობაში გამოტყდა.

✦ 31 ოქტომბერს თბილისის შესახვევში ელისაბედ ხოფერიას სახლიდან მოიპარეს ტანსაცმელები 100 მან. ღირებული.

✦ 3 ნოემბერს ქალ. თეატრში, გადმოხვეწილ ებრაელთა სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენიდან დარჩა წმინდა შემოსავალი 502 მ. და 50 კ.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს თხოვნით მიმართა, რომ გზათა მიმოსვლის სამხედრო უფროსისაგან გამოითხოვოს ნება, რომ ქუთაისში შემოიტანონ ქ. ბათომიდან ხუთი ვაგონი ფქვილი.

✦ 4 ნოემბერს, ქუთაისის გუბერნატორს მეფურნეებმა მიმართეს თხოვნით პურზე ნიხრის მომატების შესახებ. გუ-

## ცოტა რამ სახელმწიფოებრივ ცხოვრებიდან.

### მოკლე წინასიტყვაობა.

იმ კალმით აუწერელ უბედურების დროს, რომელიც დააყენა საზოგადოთ მთელ კაცობრიობას და კერძოთ, საქართველოს, დღევანდელმა ომმა, საჭიროთ მიგვაჩნია გავახსენოთ, გავუზიაროთ და განვუმარტოთ ჩვენს მკითხველებს ზოგი რამ სახელმწიფოებრივ ცხოვრებიდან:

სხვა და სხვა მიზეზის გამო ქართველ ხალხს, ქართველ მასსას ნაკლები წარმოდგენა აქვს თუნდაც ჩვენი სახელმწიფოს შინაგან ცხოვრებაზე და ეს კი ჰბადებს ათას გვარ, ასე ვსთქვათ, ჯგუფურ აზრს, რასაც თავის მხრივ დიდი განხეთქილება შეაქვს ჩვენს უიმისოდაც არეულ—დარეულსა და ათვარიაქებულ ცხოვრებაში.

ჩვენა გვგონია, რომ მოთხრობა სახელმწიფოებრივ ცხოვრების ამა თუ იმ დარგის თანდათანობითი განვითარების შესახებ, ისეთი მოთხრობა, რომელიც დამყარებულია უტყუარ მეცნიერულ გამოკვლევებზე ბევრ ჩვენს მკითხველთაგანს საშუალებას მისცემს დაადგეს ერთ გარკვეულ აზრს და, მაშასადამე, ნაკლები ენერგია, ნაკლები დრო დაჰკარგოს ისეთ საკითხების თავისებურათ ახსნა—განმარტებისათვის, რომელი საკითხებიც დიდი ხანია გადაწყვეტილი, გადაჭრილია მეცნიერებისაგან და სადავო და საცილო აღარა არის-რა...

ამ ჩვენ წერილებში მოვერიდებით უოგვარ ჯგუფურ გაშუქებას ამა თუ იმ საკითხისას და ვიმსჯელებთ სრულიად ობიექტიურად, მიუდგომლად, ისე, როგორც გვასწავლის გულგრილი და შეურყეველი კანონების მორჩილი ცხოვრება...

წყაროთ ამ წერილებისათვის ჩვენ ვიხმართ გამოკვლევებს სხვა და სხვა მეცნიერთა, რომელთა აზრს ხან პირდაპირ გადმოვთარგმნით, ხან კი ჩვენის სიტყვებით გადმოგცემთ.

დღევანდელ წერილისათვის ჩვენ ვხელმძღვანელობთ ჩვენის პროფესორის და სახელმწიფო ცხოვრების ცნობილ მეისტორიე ვ. ვ. ივანოვსკის ლექციებით, რომელ ლექციებსაც იგი პროფესორი გვიკითხავდა უნივერსიტეტში...

I.

### ძირითადი თვისებანი სახელმწიფოს საოჯახო მთავარ-გამგეობის ისტორიისა.

ყოველ სახელმწიფოსა აქვს ორგვარი მართვა-გამგეობა: **გარეშე საქმეთა**, ანუ გარეგანი მართვა-გამგეობა და **შინაგან საქმეთა**, ანუ საოჯახო მართვა—გამგეობა.

დღეს ჩვენ ვისაუბრებთ სახელმწიფოს საოჯახო მართვა-გამგეობაზე.

ევროპის ახალ სახელმწიფოთა ისტორიას თუ ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ პირველ ხანებში, იმ ხანებში, როცა ესა თუ ის სახელმწიფო ახლად იკიდებდა ფეხს, ახლად გამოდიოდა ისტორიის ასპარეზზე, ამ სახელწიფოებში არ არსებობდა არა თუ რაიმე სამეურნეო, საოჯახო მართვა-გამგეობა საზოგადოთ, არამედ არ არსებობდა თვით საოჯახო მართვა-გამგეობაც-კი, კერძოთ.

ეს იმითი აიხსნება რომ თავის სიცოცხლის პირველ ხანებში ესა თუ ის სახელმწიფო უმთავრეს ყურადღებას აქცევდა თავის მოწყობისა, თავის დაცვისა და თავის შენახვის საქმეებს. ეჭვი არ არის, რომ ამგვარ პირობებში ჯერ ვერ ჩამოყალიბდებოდა ის წესი მართვა-გამგეობისა, რომელსაც შემდეგში სახელმწიფოს შინაგან საქმეთა, ანუ საოჯახო საქმეთა მართვა-გამგეობა დაერქვა.

სახელმწიფოს ეკონომიური ცხოვრება და, ეკონომიური ურთიერთობა ფაქტიურად ყალიბდებოდა სახელმწიფოს საერთო წესწყობილებისა და სოციალურ ცხოვრების ზეგავლენის ქვეშ, გარეშე ყოველგვარ იურიდიულ მიზანშეწონილებისა. მართალი რომ ვსთქვათ, თვით ეს ეკონომიური ურთიერთობაც არ იყო იმდენათ რთული და დახლართული, რომ საჭირო ყოფილიყოს სახელმწიფოს ძალთა ჩარევა. მიწათმოქმედება, ნადირობა, ომი აი უმთავრესი მოქმედებანი ევროპის ახალ სახელმწიფოთა, ჟამსა მათის სიჭაბუკისასა.

აუარებელ ბუნებრივ სიმდიდრისა დ მაშინდელ ხალხთა მცირე რიცხოვანობისა გამო ეკონომიურ ცხოვრებას ჯერ ვერ შეეძლო წარმოეშვა ის აწეწილ—დაწეწილი და მძიმე საკითხები, რომელთა ახსნა-განმარტებისათვის ამდენსა ზრუნავს და ფიქრობს ჩვენი დროის განათლებული კაცობრიობა. მაშინდელი წარმოება იყო მეტის მეტი სადა და უბირი. იგი განისაზღვრებოდა მარტოოდენ მიწათმოქმედებით. ბუნება და შრომა,-აი მისი უმთავრესი ძალები და რადგანაც თითქმის არ არსებობდა შრომის არავითარი განაწილება, უმეტეს შემთხვევაში თვით მწარმოებელნივე იყვნენ მომხმარებელნიც. უხეში წესი ცხოვრებისა და სურვილი პოლიტიკურ თვითარსებობისა ეკონომიურ სიკეთეთა და სიმდიდრის მოსახვეჭ ერთად ერთ ძალად სთვლიდა ომებს, ომიანობას.

შემდეგი, ეგრეთ წოდებული ფეოდალური ხანაც არ იყო ხელის შემწყობი სახელმწიფოს საოჯახო მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლად. პირადი, კერძო ინტერესი სჭარბობდა სახელმწიფოებრივ, საერთო ინტერესს. არ არსებობდა ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია, ვერ იარსებებდა ერთი, სახელმწიფოებრივი მოქმედებაც, რომელსაც ეზრუნა ხალხის კეთილდღეობისათვის. ამისდა მიუხედავათ სოციალურმა წესმა, საზოგადოთ და წესმა ეკონომიურ ცხოვრებისამ, კერძოთ, წინა ხანასთან შედარებით ბევრი ცვლილება განიცადა. პირველად ამ ხანაში **მიწადმოქმედი** (გლეხობა) კლასი მოსწყდა **მიწადმფლობელ** კლასს (ფეოდალებს, თავად-აზნაურობას) და პირველი უკანასკნელის ყმად შეიქმნა. შრომამ დაჰკარგა თავისი თვითმოქმედება და მიწადმოქმედება ბატონყმურად გადაიქცა. ამ გარემოებამ თავის მხრით ძირიანათ შესცვალა მიწადმოქმედების ნაყოფთა განაწილების საქმეც. მშრომელ კლასს ეკუთვნოდა მხოლოდ ის ზედმეტი, რაც გაბატონებულ კლასის განდიდებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას გადარჩებოდა ხოლმე. მეორე მხრით, მიწათმოქმედებასთან, ანუ, როგორც საზოგადოთ ეძახიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან ერთად განვითარდა მრეწველობაც. ეს გამოიწვია ცხოვრების მოთხოვნილებათა გართულება-გამრავლებამ და შრომის დანაწილებამ. ამავე მიზეზებმა წარმოშვეს მესამე სახე, მესამე დარგი წარმოებისა—ვაჭრობა.

მაგრამ, თუ მიწათმოქმედებამ დაჰკარგა თავისუფლება, არც წარმოების უკანასკნელ ორ დარგს—მრეწველობასა და ვაჭრობას—დაადგა უკეთესი დღე. ვაჭრობა-მრეწველობაშიაც მალე გამეფდა ვიწრო ჯგუფური გულისთქმა, კარჩაკეტილობა, შეურიგებლობა და განკერძოება. შრომის განაწილების პრინციპს მალე მოჰყვა უკიდურესი და ამავე დროს მავნებელი შედეგები. გაჩნდენ ამქრები და გილდიები, რომელთა შინაგანი მოწყობილება ხელს უშლიდა ეკონომიურ ცხოვრების თავისუფლად განვითარებას. მათმა კარჩაკეტილობამ და კასტიურობამ სული ამოხადა მრეწველობას. მართალია იმ დროს ჯერ იმდენათ არ იყო განვითარებული მრეწველობა, კაპიტალს იმდენი მნიშვნელობა არა ჰქონდა, რამდენიც შემდეგში მიეცა, მაგრამ ამქრობა მაინც ჰქმნიდა არა ხელსაყრელ პირობებს, როგორც მუშებისა, ისე მომხმარებლებისათვისაც. ამავე კარჩაკეტილობას და განკერძოებას ექვემდებარებოდა ვაჭრობაც და საოჯახო მართვა-გამგეობა სახელმწიფოსი მოუწესრიგებელი რჩებოდა.

სახელმწიფოს საოჯახო მართვა-გამგეობა და მოწესრიგება იწყება ევროპის ახალ სახელმწიფოთა ცხოვრების მესამე ხანაში—იმ დროიდან, როცა გახელმწიფდა აბსოლიუტიზმი. როცა სახელმწიფო ცხოვრების სადავე მონარქებს ჩაუვარდათ ხელში. აბსოლიუტური სახელმწიფო წესწყობილება, რომელიც ძლიერ მალე პოლიციურ წეს-წყობილებათ გადაიქცა, დაეპატრონა სახელმწიფოს საოჯახო საქმეებსაც და თავისებურათ მომართა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებაც. აწერილ და აღნუსხულ იქმნა ყოველი დარგი, ყოველი წვრილმანი სახელმწიფოს სამეურნეო ძალთა რაოდენობისა და ვინც დაარღვევდა ამ ძალთა-განწყობილების მომწესრიგებელ კანონებს, იგი სასტიკათ ისჯებოდა და იდევნებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ის ზომები, რომელიც შემოიღო აბსოლიუტურმა სახელმწიფომ საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად მიმართული იყო არა ხალხის ეკონომიურ ცხოვრების საკეთილდღეოთ, არამედ სახელმწიფო ხაზინის გასამდიდრებლად, ხელმწიფის უფლებათა გასაძლიერებლად. სახელმწიფო და ხელმწიფე იგივეობათ ითვლებოდა სიმდიდრე და სიკეთე ხელმწიფისა ხალხის სიმდიდრეთა და სიკეთეთ მიაჩნდათ. თუ სახელმწიფო ხაზინა მდიდარი იყო, თუ ბევრი და ძლიერი ჯარი ჰყავდათ, სახელმწიფოც კეთილდღეობაში ეგონათ. ასეთმა მგონიარობამ, ხელმწიფისა და სახელმწიფო ხაზინის ასეთმა უპირატესობამ წარმოშვა ერთგვარი მიმართულება სახელმწიფოს საოჯახო მოღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერნატორმა მეფურნეების თხოვნა დააკმაყოფილა. დღეიდან გუბერნატორის ნებართვით პირველი ხარისხის 18 კ. დანარჩენზე კი თითო კაპიკი მოუმატეს.

— 5 ნოემბერს, ბალახვანის შოთა რუსთველის სახელობის სამკითხველოს მზრუნველმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ სამკითხველოს სასარგებლოთ უფასოთ დაუთმონ ნახევარი საჟენი სადორის შეშა.

29 ნოემბერს, მოხდება სამკითხველოს წევრთა საზოგადო კრება, რომელიც განიხილავს წარსული და მომავალი წლების ხარჯთაღრიცხვას.

### სოფლად.

— ს. ქვედა აჯეთის (ოზურ. მაზ.) და ს. ვარდიგორის (შორაპნის მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს გახსნან მომხმარებელი საზოგადოებები „ცდა“ და „ეკონომია“.

— 30 ოქტომბერს, კულისკარში დააპატიმრეს ცნობილი ყაჩაღი როგავა, რომელმაც 21 აგვისტოს გაძარცვა ს. ხეთის მცხოვრები კირია და გაბელია.

### შეცდომის გასწორება.

„სამშობლო“ს № 215 ში შეპარული შეცდომით ხონის ოლქის სარწყავი წყლის არხის შესახებ წერილში 70000 ათასი, უნდა იყვეს 7000.

### თ ფ ი ლ ი ს ი.

(საკუთ. კორესპ.)

— ახლო მომავალში აქ მოხდება ქალაქის არჩევნები.

— საქართველოსა და კერძოდ მთელ კავკასიის იმ ადგილებში, სადაც სოლიქო სასამართლოები არსებობენ, დღეიდან დაარსდება ნაფიც ვექილთა საბჭოები.

— თბილისის გუბერნიის მართლად ნამყოფი თავადი კ. ნ. აფხაზი მეფის ნაცვალმა თავის უწყებაში დანიშნა.

— თბილისში ხმები დადის, თითქოს საქართველოს ეგზარხოსი სამუდამოთ სტოვებდეს საქართველოს.

— თავად აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი რ. გ. სუმბათაშვილი შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა მისცენ მას საკმაო ვაგონები საქართველოს საჭიროებისათვის გოგირდ შაბიამნის შემოსაზიდათ.

— 1 გიორგობისთვეს მეფის ნაცვალი განჯისკენ წაბრძანდა.

— ამ თვის 19-ში შესრულდება ნახევარი წელიწადი, რაც ბრძოლის ველზე გმირულად მოკვდა დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის სიძე ს. კონსტანტინე ალექს. ბაგრატიონ მუხრანბატონი, ამ დღეს მცხეთის ტაძარში მოეწყობა დიდი პანაშვიდი განსვენებულის მეუღლეს.

— ამ ჟამად ყარსის ოლქში ასამართლებენ ოსმალებს, რომელთაც ჩვენი ძმა აჭარლებსავით აბრალებენ სახელმწიფოს ღალატს.

— პეტროგრადში ვექილ დ. ჭიაბრიშვილის თხოვნა, იმის შესახებ, რომ ქართველ დარბეულ გამოქცეულთა ბავშვებს მიეცეს სათანადო დახმარება, შეწყნარებულ იქნა.

## წერილი ლონდონიდან

ჩვენი ქვეყნის სამრეწველო განვითარებისათვის ფრიად საჭირო საკითხს შეადგენს, თუ რა სათბობი მასალა უნდა ვიხმაროთ.

ჩვეულებრივად სათბობ მასალად ხმარობენ: შეშას, ქვანახშირს, ლინიტს, ტორფს, ნავთს და ყოველივე სხვა მასალას, ზემოდ ჩამოთვლილ ნივთიერებათაგან წარმომდგარს.

ამ მასალებში, როგორც ენერგიის წყარო, ყველა ერთნაირად ადვილი გამოსაყენებელი არ არის ჩვენში, ნამეტნავად წვრილ მრეწველობაში, ამის მიზეზი ორია: ან საწვავ მასალის სიძვირე ან და პირველ მოწყობილობის სიძვირე (მაგ. მანქანები).

შეშა ჩვენში ყოველ წლივ ძვირდება, რადგან დიდძალი ტყეები ან სულ გაჩეხილია ან არა და ძლიერის სიჩქარით იჩეხება. სამწუხაროდ ტყით სარგებლობის კანონები კავკასიის მხოლოდ რამდენიმე ნაწილში შემოიღეს და ისიც გვიან. ზოგ ადგილებში ასეთი კანონები სრულიად არ არის შემოღებული.

ქვანახშირი მოგვეპოვება ძლიერ ცოტა, ტყიბულში და ტყვარჩელში, რაიცა საკმარისი არ არის შესამჩნევი მრეწველობის გასავითარებლად. რუსეთიდან შემოტანა კი ძლიერ ძვირი ჯდება.

ამას გარდა ქვანახშირით გასახურებელი ქვაბები და მთელი მათი მოწყობილება ძვირი ჯდება და მხოლოდ დიდი ქარხნებისათვის არის ხელსაყრელი.

ლინიტი და ტორფი საექსპლოატაციოდ ჯერ არც კი მოგვეპოვება.

ნავთი კი (გაწმენდილი და გაუწმენდელი, მაზუთი), ჩვენი ბუნების უხვი ნაყოფია. ბაქო დღეს მთელს ქვეყანაზე უდიდეს ნავთის წყაროებით არის განთქმული, ამას გარდა ნავთის წარმოება განვითარებულია ჩრდილოეთ კავკასიაში (გროზნასა და მაიკოპში). ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში კი ნავთის ძიება დაიწყო კახეთსა და გურიაში და თუმცა ჯერ-ჯერობით ამ ორ კუთხეში საექსპლოატაციოდ ნავთი არ აღმოჩენიათ, მაგრამ აქამდე მოხდენილი პირველი გამოკვლევანი იმედს გვაძლევენ, რომ იქაც შესაძლებელია ნავთის წყაროების დამუშავება.

1911 წელს ოფიც. ცნობით სულ ამოვიდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაქოს გუბ. | 463.203,071 | ფუთი | ნავთი |
| თერგის ოლქ. | 75.268,663 | „ | „ |
| დაღესტ. ოლქ. | 36,799 | „ | „ |
| ყუბანის ოლქ. | 7,837,243 | „ | „ |
| განჯის გუბ. . | 12,780 | „ | „ |

ცხადია, რომ სიუხვის გამო ნავთი არის საუკეთესო გასახურებელი მასალა, ჩვენი მრეწველობის გასავითარებლად. ჩვენ მრეწველობას რომ განვითარება ეჭირვება დღეს, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. ჩვენს ქვეყანაში ურიცხვი ნედლი მასალა მოიპოვება, რომლის დამუშავება და გამოყენებაც შეიძლება. დამზადებული საქონლის გასაღება კი მოხერხდება თითონ კავკასიაში, თურქესტანში, სპარსეთში და ოსმალეთში.

მაშასადამე, რადგანაც ნავთი არის ჩვენთვის ყველაზე უფრო ხელისაწვდომი გასახურებელი მასალა, საჭიროა მის გამოსაყენებლათ შევიძინოთ ნავთის მოტორები.

რაში მდგომარეობს ჩვენი ნავთის მოტორების უპირატესობა?

სრულიად უბრალო სახმარი არიან. მოტორის ყველა ნაწილი ერთ ზომაზე არის გაკეთებული და მათი გამოცვლა ან შეკეთება სულ ადვილი საქმეა. მოტორების ხმარება შეიძლება ყოველნაირი მიზნისათვის.

ძლიერის მომჭირნეობით ხარჯავს ნავთს.

ლამფას რომ მოუკიდებთ, 5 წუთში დაიწყებს მუშაობას.

მთელი დღის განმავლობაში მარტო ორჯელ უნდა გაზეთოთ ნაწილები და არავითარი სხვა მოვლა არ სჭირდება.

არც ქვაბი სჭირდება, არც ხშირად სწმენდ და არც ნაპერწკლებს უშვებს.

ნავთი ჩასხმულია სპეციალურ თუჯის ბაკში და თან და თან გამოდის საჭიროების დაგვარად, ასე რომ ცეცხლის გაჩენის მხრივ სრულიად არ არის საშიშარი. ნავთი ავტომატიურად ეძლევა და ჩასხმა ხშირად არა სჭირდება.

მოტორს თან ახლავს რეგულიატორი, ასე რომ ნავთის ძლევის შეჩერება შეიძლება, როდესაც გსურთ.

მოტორი შეგიძლიანთ ამუშაოთ გაწმენდილი ნავთით და გაუწმენდელითაც (მაზუთით).

ეს უკანასკნელი ჩვენი ქვეყნისთვის ძლიერ გამოსადეგი არის, რადგან გაუწმენდელი ნავთი ბევრი მოგვეპოვება.

დ. ლომბაშიძე. „საქ.“.

(შემდეგი იქნება).

წეობისა, რომელსაც მერკანტიული მიმართულება ერქვა, და რომელ მიმართულებასაც ძლიერი და თავგამოდებული დამცველები ჰყავდა, როგორც მეცნიერებაში, ისე ცხოვრებაშიაც.

ეს მიმართულება აშენებულია ყოვლად ყალბსა და მავნებელ საფუძველზე, ვინაიდან წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ რაც **უფრო მდიდარია ფულით სახელმწიფო ხაზინა,** მით **უფრო მდიდარია თვით სახელმწიფოცაო.** აქედან წარმოდგა სურვილი ოქრო-ვერცხლის მოგროვებისა, რასაც მოჰყვა შესაფერი ზომები დასახულ მიზნის მისაღწევათ. ეს ზომები ორ გვარია. ერთით სცდილობდენ აღორძინებიათ შინაური წარმოება, ნამეტნავათ გაემრავლებინათ ფაბრიკა-ქარხნები და მეორეთი—რაც შეიძლება ბევრი საქონელი გაესაღებინათ გარეთ. ე. ი. სცდილობდენ, რომ ღირებულება გარეთ გატანილის საქონლისა უფრო ბევრი ყოფილიყო, ვიდრე ღირებულება შინ შემოტანილის საქონლისა. სახელმწიფოს მესვეურთა ასეთ გულისთქმას მოჰყვა კოლონიალური (საახალშენო) პოლიტიკა, რომელმაც ახალშენების ეკონომიური ცხოვრება დაუქვემდებარა მეტროპოლიის ეკონომიურ ცხოვრებასა მერკანტიული წესი საოჯახო საქმეთა მოწყობისა იყო უმთავრესი მიზეზი სხვა და სხვა მონოპოლიათა წარმოშობისაც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წესი, ეს მიმართულება არ იყო კუთვნილება მხოლოდ ძლიერთა ამა ქვეყნისათა, ეს წესი შეიქმნა იდეალათ ბევრის მეცნიერისა და ამავე წესმა გამდიდრებისამ ფეხი მოიკიდა მთელის ქვეყნის მრეწველობაში.. ამას კიდევ მოჰყვა ათას გვარი სპეკულიაცია და ბოლოს აღმოჩნდა რომ მერკანტიული წესი ცხოვრებისა და ის მიმართულება, რომელიც ემყარებოდა ფულის და მხოლოდ ფულის შეძენის გაუმაძღარ სურვილზე კი არ ამდიდრებს სახელმწიფოს, პირიქით აკოტრებს და აღარიბებს ამა თუ იმ მის მიმდევარ ქვეყნის წარმოებას.

ამგვარად, ამ მესამე ხანამაც სახელმწიფოებრივ განვითარებისამ ვერ შექმნა ისეთი პირობები, რომ ხალხის ეკონომიური ცხოვრება ხალხისავე საკეთილდღეოთ მოწყობილიყო. წარმოება თანდათან შეიბორკა, რადგანაც საშუალო საუკუნოების ამქრულ ორგანიზაციას ზედ დაერთო სახელმწიფოსაგან მიღებული სასტიკი ზომებიც. წარმოების ნაყოფთა თავისუფლად გაცვლა—გამოცვლას წინ აეყუდა ათასგვარი საბაჟო—გადასახადები, ამას გარდა მერკანტიულ წესს თან სდევდა მეტად მაზარალებელი რყევა ფასებისა.

ასეთი იყო საზოგადოთ მესამე ხანა ევროპის სახელმწიფოთა საოჯახო ცხოვრების განვითარებისა.

მეცხრამეტე საუკუნიდან იწყობა სრულიად ახალი ხანა როგორც სახელმწიფოებრივის, ისე სოციალურის ცხოვრებისა ევროპაში.

ჯერ ისევ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა შეუდგა ხელმწიფობის აბსოლიუტიზმის შეზღუდვას და წინ წამოაყენა უფლებამოსილება ხალხის წარმომადგენელთა, როგორც ისეთის ორგანოისა, რომელიც უნდა იყოს სახელმწიფოებრივ ნების აღმასრულებელი.

იმისდა მიუხედავათ რომ ეს პროცესსი, ასე ვსთქვათ, ჯერ ისევ პირველ საფეხურზე სდგას, და უკეთესისა და უსრულესის პოლიტიკურის ორგანიზაციის მოწყობა—დამყარება შორეულ მომავალს ეკუთვნის, პოლიტიკური წესწყობილება მაინც იმდენათ შეიცვალა, რომ სახელმწიფოთა მართვა—გამგეობას სრულიად ახალი მიმართულება მიეცა. სახელმწიფოთაგან დაკანონებული პრინციპი ხალხის წარმომადგენლობისა, სახელმწიფოს ცხოვრების სხვა დარგებშიაც იკიდებს ფეხს და ერთხელაც იქნება დადგება ის დრო, როცა თვით ხალხი გახდება ბატონი თავის თავისა...

ამგვარ მიმდინარეობას ხელი შეუწყო არა მარტო იმ პოლიტიკურმა ცვლილებებმა, რომელიც ევროპაში მოხდა, არამედ იმ წარმატებამაც, რომელიც განიცადა პოლიტიკურმა ეკონომიამ.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მერკანტიულმა მიმართულებამ დიდი უწესოება და არევ-დარევა გამოიწვია სახელმწიფოთა საოჯახო ცხოვრებაში და დაბადა სრულიად ახალი მიმართულება, შექმნა სულ ახალი სკოლა ეკონომისტებისა—ფიზიოკრატიულ სკოლად წოდებული—რომელმა სკოლამაც სრულიად ახალი პრინციპები გამოთქვა. ამ სკოლის აზრით მთავრობის ჩარევა სახელმწიფო საოჯახო საქმეებსა დ ეკონომიურ ცხოვრებაში არამც თუ არაფერს მატებენ მას, პირიქით ხელს უშლიან მის წესიერ მიმდინარეობას და მხოლოდ წარმოების თავისუფლება ჰქმნის ხალხთა კეთილდღეობასო.

ეს პრინციპები მეცნიერულად დაასაბუთა ა. სმიტმა და მერე შექმნა საფუძვლათ ეკონომისტთა მთელის სკოლისა. ამ სკოლის მეცნიერულ გამოკვლევათ უნდა ვუმადლოდეთ რომ სახელმწიფოთა საოჯახო ცხოვრებაში ბევრი რომ სასიკეთო ცვლილება მოხდა და რომ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას სრულიად ახალი ხასიათი მიეცა... იურისტი.

## სოფლად მედიცინური დახმარების შესახებ.

რადგან ამ ჩემი წერილის მიზანი კერძოთ არავის პიროვნების შეხება არ არის ამიტომ არც არავის ვასახელებ იმ ფაქტის აღნიშვნის დროს, რომელსაც ალაგი ქონდა ქუთაისში ამ დღეებში და რომლის აღნიშვნითაც მინდა საზოგადოების ყურადღება მივაქციო ერთ არა ნორმალურ მოვლენას ჩვენი ქუთაისელი ექიმების ცხოვრებაში და ამ არა ნორმალურთ მოვლენისათვის სათანადო ანგარიშის გაწევა ვსთხოვო ვისკანაც ჯერ არს.

საქმე შემდეგში მდგომარეობს: სოფელ ლესის (გურია) წიგნსაცავ-სამკითხველოს გამგეობის დავალებით მე და ერთმა წევრმა ხსენებული გამგეობისა 7 ოქტომბერს ვინახულეთ ქუთაისის საზოგადოებაში კარგად ცნობილი ექიმი № და გადავეცით სამკითხველოს გამგეობის წერილი, რომლითაც გამგეობა სთხოვდა ბ-ნ ექიმს მიბრძანებულიყო ს. ლესაში, ერთი დღით, ავადმყოფების მისაღებად და იმ დღის ავადმყოფებისაგან აღებული ფულები შეეწირა ადგილობრივ სამკითხველოსათვის. ბატ. ექიმმა, საკმაო დაფიქრების და ჩვენთან მოლაპარაკების შემდეგ, აღგვითქვა გამგეობის თხოვნის დაკმაყოფილება და ჩვენთან შეთანხმებით, ლესაში წასვლის დღეთ დანიშნა 18 ოქტომბერი. ჩვენ ბ. ექიმის თანხმობა გადავეცით სამკითხველოს გამგეობას, რომელიც თავის მხრით შეუდგა საჭირო სამზადისს ე. ი. დაასტამბვია და დაგზავნა განცხადებები, დაიწყო რიგში ავადმყოფების ჩაეწერა და სხვა, მაგრამ, სრულებით მოულოდნელად, 15 ოქტომბერს ბ-ნ ექიმმა გვაცნობია, რომ ის ლესაში ვერ წავა და ამის მიზეზად დაასახელა ის გარემოება, რომ მისი უფროსი, როგორც მან გამოთქვა, ამხანაგები (დაასახელა 3 ექიმის გვარი) წინააღმდეგნი არიან, საზოგადოდ, ექიმების, „მოგზაურ ტრუპპასავით“, სოფლად წასვლის და იქ ავადმყოფების მიღების, რადგან ასეთ მოგზაურობას ისინიც და სხვებიც ქუთაისის, თითქმის ყველა, ექიმები უყურებენ როგორც პაციენტების მისაზიდ საშუალებას. ექიმებში ასეთი შეხედულების არსებობა ბატ №-მა წინეთაც, როცა ჩვენ მასს მივმართეთ თხოვნით, გვაცნობია, მაგრამ ჩვენ მაშინ დავარწმუნეთ ის, რომ ასეთი შეხედულება საზოგადოთ არ არის მართალი და კერძოთ ამ შემთხვევაში კი სრულებით უსაფუძლო იქნება და არც ექნება ალაგი, რადგან სამკითხველოს გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, რომ ის, ბატ. ექიმი მიდის ლესაში მხოლოდ ერთხელ და ისიც გამგეობის თხოვნით და მისს სასარგებლოდ. ექიმი № შემდეგაც, როცა უარი გვითხრა წასვლაზე, თითქოს, [არ ეთანხმებოდა მის მიერ დასახელებულ ავტორიტეტიან „კოლეგებს“ იმ შეხედულებაში თითქოს სოფელში წასვლა და იქ გაჭირვებული ხალხის დახმარება ანგარება იყოს, მაგრამ თუ მაინც ვერ მოიქცა მართებულად და დაარღვია მისი მოცემული პირობა, ეს ალბათ იმიტომ, რომ გრიბოედოვის ფამუსოვის არ იყოს ეშინოდა „რას იტყვის კნეინა მარიამ ალექსის ასული“.

მე მგონია ექიმი № საქციელი ამ შემთხვევაში უფრო დამახასიათებელი არის თვით მისი, ბატ. №, ვინემ მას რაიმე ფართო საზოგადო მნიშვნელობა ქონდეს და ამიტომ მე არ შევუდგები ექიმი №-ს როგორც ზემოდ ნახსენებ საქციელის დაფასებას, ისე ამა საქციელის ვითომ გასამართლებლათ ექიმ №-ს ჩემთან საუბარს გამომჟღავნება (ეს მისი ხვეწნა მუდარის შესრულება არის), რომელიც, სხვათა შორის უნდა ვსთქვა, ძლიერ ახასიათებს მის ვიწრო მეშჩანურ სულის კვეთებას და რომლის გამომჟღავნება ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა ბატ. №-ს მის „კოლეგების“ წინაშე. მხოლოდ არ შემიძლია საზოგადოების ყურადღება არ მივაქციო ექიმ №-ს მიერ დასახელებულ ექიმების შეხედულებას სოფლად ექიმების საექიმოდ გასვლის შესახებ, თუ კი მართლაც ასეთი შეხედულება არის მათში, როგორც ბატ. №-მა მათ მიაწერა, (ბ. № მაპატიოს თუ მე მის ნათქვამში ექვი შემაქვს) რადგან ეს კითხვა მე პრინციპიალურ საკითხათ მიმაჩნია. მართლაც, ჩვენ გვყავდა წარმოდგენილი ისეთი ექიმი, რომელსაც სოფლად წასვლა და იქ მედიცინური დახმარების მხრით სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში მყოფ ხალხის დახმარება ეზარება და თავს არ იწუხებს მათთვის, მაგრამ ვერ წარმოგვედგინა ისეთი წარჩინებულ ექიმი, რომელიც ანგარებათ და და დანაშაულობათაც კი სთვლის გაჭირვებული ხალხის სამსახურს, და ეხლა ყოველივე ამის შემდეგ ნუ გაგიკვირდებათ როცა ბატ. №-ს აღმოჩენათ არა თუ ის 2-3 ექიმი, რომელნიც მან დაასახელა, ყოფილა ასეთი უცნაური შეხედულებას არამედ ქუთაისის თითქმის ყველა ექიმები ასეთები ყოფილან და ამიტომ თვითონ № იმდენად იძულებული არის ანგარიში გაუწიოს მათ, რომ ლესაში წასვლაზე, მიუხედავათ იმისი დადებული პირობისა უარს ამბობს. არას ვიტყვი იმ სამ ქუთათურ ავტორიტეტიან ექიმებზე, რომლებიც ბატ. №-მა ჩემთან დაასახელა და რომელთაც, თურმე კეთილი საქმე ანგარებათ მიაჩნიათ, რადგან მათ შესახებ მე იმის მეტი არაფერი ვიცი, რაც ბატ. №-მა გადმომცა, მხოლოდ ის აზრი თითქოს ყველა ქუთათური ექიმი სოფლად საექიმოდ წასვლას ისე უყურებდეს როგორც პაციენტების მისაზიდ საშუალებას, მართალი არ უნდა იყოს, რადგან ჩვენ ვიცით, რომ მაგ. სოფ. ლესაში გარდა სხვა ახალგაზრდა ქუთაისელ ექიმებისა, რომელთაც არც აქ ყავთ „აგენტები“ პაციენტების გასაჩენად და უნდა ვიფიქროთ არც სოფელში იგლიან ამ მიზნით, დადიოდა კიდევ, თითქმის ერთ წელიწადს ყოველ 15 დღეში, კარგად ცნობილი ექიმი სვ. ივ. ხეჩინოვი, რომელსაც ვერც ერთი ბოროტი ენა ვერ დასწამებს თითქოს მასაც პაციენტების მოსაზიდათ ევლოს. მართალია, ეს იყო 7-8 წლის წინეთ და შეიძლება მაშინდელი შეხედულება ამ საგანზე უკვე ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ ნუ თუ დასაჯერებელი არის, რომ თითქმის ყველა ქუთაისელი ექიმები პრინციპიალურად წინააღმდეგნი იყვნენ გაჭირვებული სოფლელების დახმარებისა ან და იმდენათ დაწვრიმალებულიყვნენ რომ უბრალო უვიც ჩარჩუკებივით მუშტრის წართმევა-მიბირება სწამებდნენ ერთი მეორეს!? მე კიდევ ვფიქრობ რომ არა. მაგრამ თუ ბატ. №-ს მიერ დასახელებული პირები სხვაფერ ფიქრობენ, ისინი თუ მართლაც სოფელში ექიმის წასვლას ისე უყურებენ როგორც პაციენტების შესაძენ და სარეკლამო საშუალებას და მათ, როგორც ავტორიტეტიან ექიმებს „ძალა უნებლიეთ“ ანგარიშს უწევს ექიმი №-ი და ზოგი სხვებიც, სწორედ ამ გარემოებას უნდა გაეწიოს ანგარიში, როგორც საზოგადოებისაგან, ისე ექიმთა კრებისაგან, რომელზედაც როგორც ექიმმა №-მა გადმომცა, იქნება დასმული ეს საკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში მედიცინური დახმარების მხრით ისედაც გაჭირვებაში მყოფი სოფლის ხალხი უარეს მდგომარეობაში ჩავარდება, რადგან არა თუ ექიმები არ დასთანხმდებიან ასეთ პირობებში სოფლად საექიმოთ წასვლაზე, არამედ თვით ხალხიც შეეჩვევა იმ აზრს, რომ სოფლად ექიმის წასვლა დანაშაულობად არის აღსარებული და იმედ დაკარგული ექიმების მხრით დახმარებაზე გახდება „მკითხავ-მოკარაბადინეთა“ სასპარეზოთ და ეს იქნება ბრალი არა მარტო ერთი რომელიმე ექიმისა, არამედ მთლად ექიმთა საზოგადოებისა.

ბარ. შარაშიძე.

## პატარა ფელეტონი

### გასეირნება.

მეტად საამური, ტკბილი დილა გათენდა, დიდებულმა მზემ თავისი სინათლე უხვათ გადმოაფინა ქვეყანას. ქუთაისის გარშემო მამშვენებელი მთა გორაკები საუცხოვოთ მოიკაზმენ მზის სხივებით და ყველაფერი მომჯადოებელი სილამაზით თითქოს რაღაცას დღესასწაულობდენ. სწორეთ ისეთი ოქტომბრის დღე გათენდა, როდესაც ყველაფერი შესაფერისია, არც მეტი სიცხე, არც თუ სიგრილე, ჰაერის სიწყნარე. ამ დროს კაცი ბუნებას ეტრფის, ესწრაფვის და სწორეთ სულიერ ბედნიერებას განიცდის, როცა მას უახლოვდება; ყოველივე ფიქრსა და სევდას განუტევებს და მხოლოდ გესცქერის ბუნებას და მისს წარმტაც მშვენიერებას. მეც ქუთაისის დაცემული ადგილიდან მიმიზიდა გარშემო გორაკებმა, საიდანაც მომესურვა გადამეხედა უშველებელი სივრცისათვის და დავმტკბარიყავი ჩვენი ბუნების საუცხოვო სანახაობით: არც თუ ისე ხშირათ შეხვდება კაცს თავისუფლება და მშვენიერი დღე. რაღაც აღფრთოვანებული და კმაყოფილი გავუდექი ჯაჭვის ხიდისკენ და მოვინდომე წმინდა გიორგის ეკლესიიდან გადმოვჩერებოდი ჩემს მშვენიერ ქვეყანას. ჯაჭვის ხიდის გარშემო ათითხნილ-

მა ქუჩებმა იქ აზინძურებულმა სამიკიტნო დუქნებმა ჩემს გიჟურ გატაცებას ცივი წყალი ასხურეს. თურმე არც ისე ადვილია ბუნებიდან მარტო მშვენიერების ამოგლეჯა; პროზაიკული მოვლენა განელებს და გოუთქვს. შევუდექი გორაკზე ბილიკს. ავდივარ მაღლა-მაღლა მართლაც თითქოს ვშორდები ცხოვრების სინამდვილეს და მშვენიერება იცავს ჩემს არსებას. ნუ იფიქრებ ნურაფერზე და მხოლოდ დასტკბი მშვენიერი სანახაობით, ვურჩევ ჩემს თავს. გადმოვაჩერდი ჩანჩქარა მოთამაშე რიონს, რომელიც შორს, შორს მიიკლაკნება მზის სხივებით აზზინებული. ბუმბერაზს ლიხის მთას აქ იქ მწვერვალები გათეთრებია, მაგრამ ჯერ კიდევ შემოდგს განიცდის. დავუკვირდი აბა საით რომელი სოფელი მდებარეობს, შევეკითხე ჩემს თავს. აი მარცხნით საჩინოს მხარე, მარჯვნით ბაღდათისა და სვირის მხარეები. ოჰ, რა მდიდარი პურ-ღვინით ადგილები—წარმოვიდგინე უწინდელი დრო. მარა დღეს?— მოუსავლობა, ხელის სიმცირე, დაგლეჯილ ჩოხაში მუშა, ფეხშიშველა ქალები და ბავშები, გაძხდარი, ძვალ-კანა საქონელი, გამწარებული ცხოვრება.... მივუბრუნდი გორას, ავყევი მაღლა, მაღლა, გავაჩერდი მიდამოებს, შორეულ ალაგებს; რა მშვენიერი მოყვანილი ალაგები, რა უხვათ ანათებს მზე, ლაჟვარდოვანია დაახლოვებული ცა, მდინარეები, წყაროები, მცენარეულობა—ლეღვი ვაზი, ურნაბი, ჩაი, მანდარინა, დაფნა... ზამთარში თავისუფლათ ყვავის ვარდი, ყვავილები, ვაჟ-კაცი მოხდენილი, შემძლე, გამბედავი, თავ მომწონე, ნიჭიერი, მომუშავე; ქალი მომქმედი, ლამაზი, გამსჯელი, ოჯახის მოპირნახულე. გავიხარე ამ სანახაობით და წარმოდგენით. კარგი რამა არის ეს ქვეყანა. მარა ეს გაჭირვებული და გამწარებული ცხოვრება ხომ არ გავიწყდება, რასაც განიცდის ჩვენი ქვეყანა. უცბათ წამომძახა ხმამ იდუმალმა. ჩემი გონება მოშორდა ბუნებას და დავეშვი სოფელ ქვეყანაში. იმ დღეს რომ ვიყავი ერთ სოფელში! გამობოჯგინდა ჯოხით მოხუცი; მისი გამხდარი სახე, უსიცოცხლო თვალები, ფეხშიშველა, აკანკული; პერანგის ამარა ბავშვები რომ ეკვრებოდენ გარშემო.—„აი შვილო, მშივრები მყვანან; სახლში მხოლოდ მოხუცი კაცი გვყავს, შვილები ყველანი წაიყვანეს, შემომჩივლა. მე კი მხოლოდ ყელში სული მებჯინებოდა და სულიერ სატანჯველს განვიცდიდი. უიმედოთ გავშორდი. ან კიდევ ის დაწყევლილი სოფლის დუქანი! სოფლის მუშა ქუთაისიდან დაბრუნებული არღანზე რომ ჩინდრიკობდა იმ პარასკევ დღეს, რადაც გაეყიდა და იქვე მიეხარჯა. ნეტავი ის უშნო ქეიფი სიმწრის იყო თუ სიხარულის. როცა ის არღნის აღმაშფოთებელ ყანას ეტრფოდა რას ფიქრობდა მისი მომლოდინე ცოლშვილი. ან კიდევ ის ორი სოფლის მოთაური, ორივე რომ მთვრალი იყო და რას ლაზღანდარობდენ არა გაეგებოდათ რა, ის ღმერთმა ნუ აკადროს ნურც სრულიად უვიც არსებას... ამ ფიქრებში წმინდა გიორგის ეკლესიის კარებს მივდგომოდი. ეკლესიაში მლოცველი არვინ იყო; მედავითნე უსასოთ გალობდა. ჩემს დღეში ისე უსიცოცხლოდ და დაბნედილათ სახარების წაკითხვა არ მსმენია. სოცარი ტკბილი ტაროსი ქვეყანას დატრფოდა და წმინდა გიორგის გორაკიდან ქვეყნის სანახაობა დიადი იყო... ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო...

...სწორედ ეს სიტყვები განათლებული აკაკისა. გაყმაყოფილებს. გვერდზე ძველი ნაეკლესიარი ადგილი გორაკათ დარჩენილა; იქვე მშვენიერი ხე და მიცვალებულების საფლავებია. ამ გორაკს მისდგომია ორი ძველიტყავა მუშა „ტაჭკებით და წერაქვებით და ასწორებენ, ე. ი. ეს გორაკი გადააქვთ იქვე ხრამების გასასწორებლათ; არც მიცვალებულების საფლავების დანგრევას აქცევენ ყურადღებას და არც ხის გახმობის ერიდებათ.

რას ჩადიხართ, ძმობილო, ის არა სჯობია გორაკი ასე ლამაზ მაღლობათ დარჩეს? მიცვალებულების საფლავებიც შეურყევლათ დარჩება, ხეც არ გახმება და ლამაზიც უფრო იქნებათქო, შევეკითხე მომუშავეებს.

— ჩვენი რა საქმეა, ბატონო, ჩვენ გვიბრძანეს და ვმუშაობთ, მივიღე პასუხი.

— ამ უშნო მუშაობამ უცბათ მომაშორა ბუნების წარმტაც სანახაობას და გამოვუდექ გზას ცაცხვებისაკენ.

ქალაქისაკენ ჩამომავალი რომ იწყება შარის ჯვარედინზე ორი ცაცხვი დგას და მისს გარშემო მრავალი ქალი და ბავში შეკრებულიყო: მივუახლოვდი, შემომესმა იქვე დაბალი ქვის სახლიდან საშინელი კვნესა, ტირილი და ადამიანის მწუხარება.

— რა ღმერთი გაგიწყრათ, შევძახე.

— რას მერჩი, მიშველეთ მოვკვდი, მომკლა, მომშორდი, ისმის სახლიდან ატირებული ხმა.

— ღმერთმა მოკითხოს იმ უსინიდისო კაცს, რომელიც ასე უდიერათ სახლობას ეკიდება, ამოიკვნესა იქვე მდგომმა ქალმა. მე გაშეშებული ვიდექი და ვერაფერი ზომა ვერ მივიღე. კარებიდან გამოვარდა კაცი, თვალი მოვკარი მისს გაკაწრულ ნიკაპს. ღმერთო მომაშორე ამ დაწყევლილ სურათს, ვსთქვი გუნებაში და გულ დათუთქული გავუდექი გზას.... ბევრი ვიარე, მაგრამ ვერსად ვერ ვპოვე სულის სიმშვიდე.

ქ. ბერეკაშვილი.

# დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

**რომი.** 3 ნოემბერი. მთავარი ბინის ცნობა. ადიდჯეს ჰალაში ჩვენმა ჯარმა 1 ნოემბერს მთებზე დაკავებული პოზიციები გაფართოვა თუ არა, მოპირდაპირემ არტილერიის ცეცხლი გააძლიერა და შემდეგ ქვეითა ჯარით იერიში მოიტანა, მაგრამ მოგერებულ იქნა. პოდოლის ჰალაში მტრის რაზმები შეეცადენ იერიშების მოტანას ჩვენს პოზიციებზე. მაგრამ აქაც მოგერებულ იქნენ და ხელში ჩავიგდეთ ტყვეები. ფელის ჰალაში ერთერთი ჩვენი რაზმი შეეტაკა მტრის ჯარს ლუზორთან, უკუაქცია იგი უწესრიგოთ. მტრის ჯარმა აქ თოფები და სამხედრო სურსათი დაყარა. კარსოსთან გუშინ სასტიკი საარტილერიო ბრძოლა მოხდა. მტრის არტილერიამ მძლავრათ დაუშინა ყუმბარები ჩვენ მიერ ახლათ დაკავებულ პოზიციებს, მაგრამ მაინც ხელი ვერ შეგვიშალა მივვახლოვებოდით მის სიმაგრეებს. სარმიკოლოს ხაზზე მტერმა მრავალრიცხოვანი ჯარით ორჯერ ზედიზედ თავგანწირული იერიში მოიტანა ჩვენი ხაზების წინააღმდეგ, მაგრამ ორივეჯერ შეჩერებულ იქნენ ჩვენი არტილერიის სწრაფი და კვირცხლი ცეცხლის წყალობით და ბოლოს იძულებული გახდა დიდი ზარალით უკან დაეხია.

**ცეტინიე.** 3 ნოემბერი. ოფიციალური ცნობა. მიუხედავათ მტრის თავგანწირული და ენერგიული იერიშებისა, ჩვენ მაინც შევინარჩუნეთ პოზიციები სანჯაკის ფრონტზე და დიდი ზარალიც მივაყენეთ მტერს. ჩვენ მოვიგერეთ ავსტრიელები, რომელთაც იერიში მოიტანეს ბუშიდო-მიტროგლავის წინააღმდეგ.

**პარიზი.** 3 ნოემბ. დღის ოფიციალური ცნობა. გუშინდელი ცნობის შემდეგ ფრონტებზე არაფერი ცვლილება მომხდარა.

**პარიზი.** 3 ნოემბერი. სადამოს ოფიციალური ცნობა. დღის განმავლობაში მხოლოდ არტილერიის სროლა იყო რომელსაც უფრო მწვავე ხასიათი ქონდა არგონებში, ვევრში, აპრემონის ტყესა და ელზასში.

**ბალკანეთის ფრონტი.**

ბულგარლებმა განაახლეს სასტიკი იერიშები ჩვენი ფრონტის წინააღმდეგ მდ. ცრნის მარცხენა ნაპირზე, მაგრამ იერიშები ყველგან მოგერებულ იქნა მათვის დიდი ზარალით. მდ. ვარდარის მარცხენა ნაპირას მდებარე ფრონტზე სიწყნარეა. ინგლის-საფრანგეთის ჯარის გადასხმა უინციდენტოთ გძელდება.

**ჰავრი.** 3 ნოემბერი. ბელგიის ცნობა. 3 ნოემბრის ღამემ წყნარათ გაიარა. დღეს კი მტერმა მძლავრათ დაუშინა არტილერიის ცეცხლი ჩვენს წინ წაწეულ პოზიციებს და აგრეთვე ჩვენი ფრონტის ბევრ პუნქტს დიქსმიუდეს ჩრდილოეთით. რამდენიმე ყუმბარა მოხვდა ჩვენს ხაზს, რომელიც ამ პუნქტის სამხრეთით იყო სანჯაკაპელე და უდეკაპელესთან. ჩვენი ბატარეია ენერგიულათ უპასუხებდა და უშენდა ყუმბარებს გერმანელების თხრილებსა და მათი ფრონტის რამდენიმე პუნქტს, საიდანაც გაფანტა სიმაგრეზე მომუშავენი.

## პასუხათ ბ. ი. ხეთერელს,

(წერილი იანეთიდან).

გაზ. „სამშობლოს“ № 201-ში მოთავსებულია ბ.ნ ი. ხეთერელის წერილი, რომლითაც აკრიტიკებს იანეთის წვრილი კრედიტის საზოგადოებას და უკიჟინებს არა პირდაპირი თუ პირდაპირი მოვალეობის აუსრულებლობას.

ბ. ხეთერელი ბრძანებს: ჩვენმა ბანკმა ვერ გაგვიმართლა მოლოდინი—მევახშეობა არამც თუ ვერ მოსპო, გაავრცელა კიდეცო,—კოოპერატიული სავაჭრო მან ვერ გაგვიხსნა, სამკითხველო მან ვერ დაგვიარსა, გლეხებს სიმინდი და შაბიამანი ვერ გამოუწერა და სხვა მრ. ერთი სიტყვით დიდი იმედებით ყოფილა ბ. ხეთერელი სხვისი შემყურე...

აგერ მეთოხე წელიწადია რაც იანეთის წვრილი კრედიტის ამხანაგობა მუშაობს, და ამ ხნის განმავლობაში მისი მავნებლობაზე და უსარგებლობაზე კრინტი არავის დაუძრავს,—თუმცა საკმარისად არიან ჩვენში ამ ბანკზე გულშემატკივარი ინტელიგენტები, რომელნიც ბ. ხეთერელზე უფრო ცუდათ არ აზროვნებენ და ზოგიერთებივით პირადობითაც არ არიან გამსჭვალულნი. ბ. ხეთერელი ბრძანებს, თუ დროზე არ შეიტანე ფული—აგაწიოკებენო,—ეს ჯერ არ მომხდარა ჩვენი ბანკის არსებობაში, არავინ არ აუწიოკებია ჩვენს ბანკს, მაგრამ თუ ისეთ უპირულ მოვალეებს, რომელთაც ბ-ნი ხეთერელი ახლოს იცნობს, ბანკმა ფული მოსთხოვა და შეაწუხა,—ნურას უკაცრავათ,—ყოველი ვაჭრობა თავის საზომს მოითხოვს; მაშ თუ ყველამ წაიღო და აღარ მოიტანა, ეს როგორი იქნება?! მე მგონია ამ ბანკის გახსნისთანავე თქვენ ბრძანდებოდით საბჭოს წევრათ ამ ბანკში!? როგორ აზროვნებდით მაშინ?! აძლევდით სესხი და აღარ იბრუნებდით?! თუ არას ეხმარება ბანკი ხალხს, მაშ სად არის ეს 17 ათასი მანეთი, რომელიც გასესხებულია ჩვენ პატარა სოფელზე?! განა სარგებლობა არ არის ამოდენა ფულის 10% ხმარება?!

ბანკი არას იწერსო, ბრძანებთ,—იმ 400 კოლოფი აბრეშუმის თესლიდან, რომელიც ბანკმა გამოიწერა 1912 წ. რამდენი წაიღეთ თქვენ?! განა თქვენ არ იყავით რომ არ მიირთვით?! 1914 წ. 25 გიორგობისთვეს, როდესაც საზოგადოებამ უარი სთქვა შაბიამნის გამოწერაზე და ორმა კაცმა: ჯვარიშვილმა და რუხაძემ შეაგროვეს 137 მ. შაბიამნისათვის და გამგეობამ სთხოვა მათ გამოეწერათ ბანკის საშუალებით, რა სთქვით მაშინ?! განა თქვენ არ ბრძანდებოდით, რომ წაიყვანეთ ეს ორი გლეხი მამასახლისის მოწმობით, სწორ გზას ააცილეთ და ცარიელზე დასტოვეთ?!

სამკითხველოზე ბრძანებთ,—განა სამკითხველოზე თქვენ ხმა ამოგეღებათ?! სად არის თქვენი გვარი იმ დამფუძნებელ წევრთა სიაში, რომელთაც საწევრო ფული გადიხადეს და აგერ სამი წელიწადია ბანკში ინახება?! რატომ არა ხართ თქვენ წევრათ? სად არის ის ათი მანეთი რომელიც თქვენ დედის გარდაცვალების დროს სიტყვით შემოსწირეთ სამკითხველოს და საქმით კი ენუქას ანდერძათ აქციეთ? სამკითხველო ჩვენში უკვე კარგა ხნის გახსნილი იქნება ბ. ხეთერელო, რომ ზოგიერთ ინტრიგანა პირებს არ შეეშალათ ხელი გულწრფელ მომუშავეთათვის, რომელთაც სურდათ პატივცემულ ნ. ნიკოლაძის სახელზე დაეარსებიათ სამკითხველო იანეთში და ხალხიც მათ თანაუგრძნობდა, მაგრამ ზოგიერთა შურით გაძღენთილებმა არიეს წყალი და შეაჩერეს საქმე, რასაც იმედია მალე ჩაედგმება სული.

რაც შეეხება კოოპერაციას, ამას რიგიანი და თავისუფალი კაცი უნდა ბანკის გამგეობა მას ვერ გაუძლევება, და თქვენისთანა კაცებს რომ ჩაუგდოს ხელში მაშინ ხომ ჩვენს დუქანსაც ის მოუვა რაც ქუთათურ კოოპერატიულ სავაჭროს მოუვიდა, ეგ კი არა სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ჩვენი გაძვალტყავებულ გლეხებისთვის. ყოველივე დაწესებულება მხოლოთ იმისთვის უნდა არსდებოდეს რომ ხალხს ემსახუროს და არა იმისთვის რომ ზოგიერთებმა ხელი წეითბონ ზედ.

რაც შეეხება კერძოთ ჩემზე გამოლაშქრებას ეს სასაცილოა,—მეც კარგათ მიცნობენ იანეთლები და თქვენც ორივეს მოღვაწეობას კარგათ აფასებენ, და ამიტომაც იყო რომ დარჩით ბანკიდან გაშავებული... ფულს მეზობელს ასესხებსო, ბრძანებთ. დიახაც, იანეთლები ყველა ჩემი მეზობლები არიან, ფულიც მათ უნდა ვასესხო და ბანკიც და მეც მათ უნდ ვემსახუროთ. თქვენც ჩემი მეზობელი, იანეთელი, რომ არ ყოფილიყავით არც თქვენ გასესხებდით. ამით ვათავებ თქვენთან კამათს და ვსთხოვ მეზობლებს იმათ დაგვსდვან მსჯავრი ორივეს ჩვენ საერთო ყრილობაზე.

ბ. ყუფარაძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს.

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერლებს, არ შეგვიძლია ჩვენი აღშფოთება არ გამოვთქვათ იმ უმსგავსო სტრიქონების გამო, რომელიც მოთავსებულია „მეგობრის“ 14 ნომერში ლანჩხუთიდან ვინმე „ადგილობრივის“ ფსევდონიმით. ეტყობა „ადგილობრივს“ იმდენათ გაეგება იმ სასწავლებლის ამბავი, რამდენადაც ჩინური ფილოსოფია.

ხსენებული სკოლის მასწავლებლები, იმედია, ჯეროვან პასუხს გასცემენ უბადრუკ ცილის მწამებელს, ჩვენ კი გვინდა შევეხოთ იმ ადგილს წერილისას, სადაც „ადგილობრივი“ ბრძანებს: „შეგირდები სუსტი გამოდგენ, ვერ შესძლეს ოთხი კლასის ეგზამენების მიცემა ქუთ. მთავრობის გიმნაზიაში“. ასეთი მისი სიტყვები მტკნარი სიცრუეა. ქუთ. მთავრობის გიმნაზიის მეხუთე კლასის ეგზამენი დავიჭირეთ 10 ქალიშვილმა: დიდიძემ, მენაღარიშვილმა, მათითაიშვილმა, სიხარულიძემ, კანდელაკმა, ფირცხალაშვილმა, იმნაძემ, არეშიძემ, სანბუროვამ, ჯიჯიყაშვილმა.

ჩვენის სიმართლის დასამტკიცებლათ შეგიძლიათ მიბრძანდეთ გიმნაზიაში და დარწმუნდეთ საჭირო დოკუმენტების გადათვალიერებით.

სიმართლეს მოკლებულია ისიც თითქოს ხსენებული სკოლის მასწავლებლები საათში თითო მანეთს იღებდენ მოსწავლეებისაგან. ჩვენ ოთხი წელი ვისწავლეთ ლანჩხუთის კერძო პროგიმნაზიაში და ძალიან კარგათ გვახსოვს კეთილ სინიდისიერი, უანგარო შრომა ამ სასწავლებლის მასწავლებლებისა. მასწავლებლები გაკვეთილების შემდეგ სუსტ მოწაფეებს ამეცადინებენ სრულიად უსასყიდლოდ, ასე მაცადინობდენ ჩვენთანაც, რომელსაც გვჭირდებოდა. ამ ზედმეტ შრომისთვის ხსენებული მასწავლებლები მადლობის ღირსნი არიან და არა ცილისწამების, ბატონო „ადგილობრივო“.

ეს უბრალო ჭეშმარიტება ყოველ ადამიანისთვის ადვილად გასაგებია, მაგრამ თქვენ წერილს ეტყობა, რომ თქვენთვის ჭეშმარიტებაზე უფრო ძვირფასია იმ კეკელა „ბარიშნების“ სიამოვნება, რომელთა ზეგავლენითაც დაგიწერიათ ეს უმგზავსო სიტყვები.

ლანჩხუთის პროგიმნაზიის ყოფილი და ახლა კი ქ. მთავრობის გიმნაზიისა და ქ. წმინდა ნინოს მეხუთე კლასის მოწაფენი:

თამარა დიდიძე, მარია მენაღარიშვილი, აგრაფენა მათითაიშვილი, ქეთო კანდელაკი.

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანიაში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, [illegible] უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kieg-sgefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
Liebesgaben für bie russischen Kriegsgefangenen
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაპკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:
suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48,
A. A. Вахерахтъ
ან კიდევ მეორე:
Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное.
suisse. Recommanbée
Comité International de la Rouge.
Agence des prisonniers de guerre Généve.

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე

## მატარებლების მიმოსვლა.

**ქ. ქუთაისს მოდის.**

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | დილის | 5 ს. 50 წ. |
| „ | ღამის | 11 ს. 30 წ. |
| ბათომიდან | დილის | 10 ს. 5 წ. |
| „ | ღამის | 2 ს. 23 წ. |
| ფოთიდან | დილის | 10 ს. 30 წ. |
| ტყიბულიდან | დილის | 9 ს. 38 წ. |
| „ | საღამოს | 7 ს. 39 წ. |

**ქ. ქუთაისიდან გადის.**

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | დილის | 7 ს. 55 წ. |
| „ | ღამის | 1 ს. 7 წ. |
| ბათომისაკენ | საღამოს | 10 ს. — |
| „ | დილის | 4 ს. 27 წ. |
| ფოთისკენ | ნაშუადღ. | 4 ს. 14 წ. |
| ტყიბულისკენ | დილის | 6 ს. 40 წ. |
| „ | ნაშუადღ. | 4 ს. 20 წ. |

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეთული ყოველგვარი მატერიები. რიგიან ფასებში, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ორთქლმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან